ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6192484

ნომერი: AR1929573

თარიღი : 24.10.2022

გაცემის თარიღი : 03.11.2022

გაცნობის თარიღი : 04.11.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გივი ამილახვარი , N 38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
1..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათებზე დამუშავებული ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების, ნიშნულების და მასალების მითითებით
ასევ წარმმოდგენილ იქნას კ1 და კ3 ის საანგარიშო კროკები გაითვალისწინეთ რომ ტერიტორია მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) დადგენილი კოეფიციენტებია კ1-0,2 კ3-0,8
2.თქვენს მიერ წარმოდგენილი განმარტება ვერ იქნება საფუძველი იმისა რომ მისასვლელი გზა არის ტერიტორიამდე, ვინაიდან ოთხივე მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ასევე არც რეგისტრირებული გზაა და სატრანსპირტო ზონა.
ზემოარნიშნული შესაბამისად ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მისასვლელი გზა, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილი იქნას სამანქანო მისასვლელი გზა და მისი სამართლებრივი საფუძველი. სამშენებლო მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობადამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის, სერვიტუტის გამოყენებით. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სამართლებრივი რეჟიმი, რომლის დროსაც მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება გამოიყენება (იტვირთება) სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე, რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, წარმოადგენს სერვიტუტს და მისი დადგენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენისათვის გათვალისწინებული წესები, კერძოდ, აღნიშნული უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.